



საქართველოს საგანმანათლებლო უნივერსიტეტის 2023 წლის ანგარიში

სარჩევნი

<u>საჯარო სამსახურის ბიუროს რეორგანიზაცია</u>	4
<u>საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერება</u>	7
<u>საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული მოწყობა</u>	8
<u>სივრცითი ანალიზი და საჯარო სამსახურის განვითარების სტრატეგია</u>	9
<u>ადამიანური რესურსების მართვა</u>	11
მიღება საჯარო სამსახურში	11
პროფესიული საჯარო მოხელის მობილობა და რეზერვი	16
სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა	16
სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა	17
პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების სისტემა	18
Hr.gov.ge-ის განვითარება	18
ადამიანური რესურსების მართვის მონაცემთა ბაზების განვითარება	19
მიმზიდველი და მრავალფეროვანი საჯარო სამსახურის განვითარების ხელშეწყობა	21
<u>პროფესიული განვითარების სისტემა საჯარო სამსახურში</u>	22
მოხელეთა გაძლიერება მენტორინგის მეთოდის გამოყენებით	23
ცენტრალურ და მუნიციპალურ ორგანოებში	23
ეთიკისა და კეთილსინდისიერების მხარდაჭერა საჯარო სამსახურში	26

დისტანციური და ონლაინ სწავლების სისტემის გაუმჯობესება	27
სპეციალური პროგრამა ქალთა პროფესიული განვითარებისთვის	27

<u>კომუნიკაცია და ცნობიერების ამაღლება</u>	28
--	----

<u>საერთაშორისო თანამშრომლობა</u>	32
-----------------------------------	----

<u>თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსებისა და მონივრინების პროცესი</u>	35
--	----

<u>2023 წლის სფანისფიქსა საჯარო სამსახურში</u>	37
--	----

<u>მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგია</u>	38
---	----

საჯარო სამსახურის ბიუროს რეორგანიზაცია


2023 წელს განხორციელდა საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური ცვლილება და მოხდა ახალი სტრუქტურის იმგვარად ჩამოყალიბება, რომელიც ერთი მხრივ, შესაბამისობაში მოვიდა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში 2022 წლის 30 ნოემბერს შესულ ცვლილებებთან* და მეორე მხრივ, ბიუროს კომპეტენციისა და მისი უფლებამოსილების ფარგლების საკითხის ახლებურად მონესრიგების პირობებში, ორიენტირებულ იქნა საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარე საჭიროებებზე.

ბიუროს ინსტიტუციური მოწყობის ახლებური ჩამოყალიბება, ასევე, მიზნად ისახავდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების, საჯარო მმართველობის სტრატეგიის მიზნების, ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საჯარო სამსახურის ბიუროსთვის მიცემული რეკომენდაციების სრულყოფილად და დროულად შესრულებას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა საჯარო სამსახურის ბიუროს ახალი სტრუქტურა 3 ძირითადი სტრატეგიული მიმართულების დეპარტამენტის და ერთი მხარდამჭერი დეპარტამენტის სახით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული ფუნქციების სრულად შესრულებას.

კანონის მოთხოვნების, საჯარო მმართველობის რეფორმის მიზნებისა და აუდიტის რეკომენდაციების შესასრულებლად, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის აღსრულებისა და სტრატეგიული დაგეგმვის გაძლიერების მიზნით, განხორციელდა ბიუროს ორგანიზაციული მოწყობის ცვლილება. შესაბამისად, ბიუროს სტრუქტურა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

* ცვლილებების შესაბამისად, 2023 წლის 1 სექტემბრიდან თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანის, დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგის განხორციელების, ასევე მხილებასთან დაკავშირებული ფუნქცია გადაეცა სსიპ-ანტიკორუფციულ ბიუროს.





ხსენებული ცვლილებით გაძლიერდა სტრატეგიული მიმართულების დეპარტამენტები, რაც ხელს უწყობს საჯარო სამსახურში ადამიანური კაპიტალის სწორად და ეფექტურად დაგეგმვას, სისტემაში საუკეთესო შემსრულებლების იდენტიფიცირებას და კარიერის მართვას, შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემების გაუმჯობესებას, საჯარო სამსახურში პროცესების სისტემურ და გრძელვადიან დაგეგმვას, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის პროაქტიულ და სისტემურ განხორციელებას, ანალიზის შედეგად გამოკვეთილი რეკომენდაციების შესრულების შეფასების საფუძველზე ანგარიშვალდებული და მდგრადი ინსტიტუციების ჩამოყალიბებას. აგრეთვე, საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების ამაღლებისა და არსებული ეთიკური გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, პროფესიული განვითარებისა და კეთილსინდისიერების დეპარტამენტის ფუნქციურ დონეზე განსაზღვრული იქნა ეთიკური ნორმებისა და ქცევის სტანდარტების შესრულების ანალიზი და ზედამხედველობა.



სტრატეგიულად მხარდამჭერი ფუნქციების ნაწილში პასუხისმგებელი ადმინისტრაციული დეპარტამენტის კომპლექსური ფუნქციების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუროს სამართლებრივი მხარდაჭერის/უზრუნველყოფის მიზნით მრავალმხრივ აქტივობას, მათ შორის, საჯარო სამსახურის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველსაყოფად, საჯარო დაწესებულებების მხარდაჭერას, ბიუროს შესყიდვების განხორციელებას, ბიუჯეტირებას, საქმისწარმოებას, მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, საინფორმაციო – საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერასა და ბიუროს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას, გამოიკვეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობის შექმნის საჭიროება, დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების უფრო მეტად ეფექტიანად განხორციელებისთვის.

ამავდროულად, ბიუროს ახალი ინსტიტუციური მონაცემების ფარგლებში გაუქმდა ბიუროს უფროსის მოადგილის ერთი თანამდებობა და ნაცვლად 3 მოადგილისა განისაზღვრა ბიუროს უფროსის 2 მოადგილის თანამდებობა. ასევე, დაწესებულების ეფექტიანი ადმინისტრირების პრინციპზე დაყრდნობით, ცვლილება განიცადა ზოგიერთმა სამტატო პოზიციამ ეკვივალენტური რანგისა და კატეგორიის ნაწილში.



საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერება

საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, 2023 წელს არაერთი მიმართულებით დაიწყო მუშაობა. მათ შორის, მომზადდა საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის ინსტრუმენტი. საჯარო სამსახურის ბიუროს პასუხიმგებელია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთიანი პრაქტიკით აღსრულებასა და საჯარო სამსახურში ერთიანი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობაზე. ამ მიზნით, ბიუროს გასცემს რეკომენდაციებს და მეთოდურ დახმარებას უწევს საჯარო დაწესებულებებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინსტრუმენტის არსებობა, რომელიც ბიუროს მისცემს გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების შესაძლებლობას. საჯარო სამსახურში ერთიანი პრაქტიკისა და სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, გაანალიზდა ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციების სპეციფიკა და შემუშავდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგია და შესაბამისი მონიტორინგის ჩარჩო.

წინა წლებში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განხორციელებული ბედნიერების კვლევის კვალდაკვალ, მიმდინარე წელს, კვლევის წარმოების პროცესის ინსტიტუციონალიზაციისა და ბიუროს შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, განახლდა სამუშაოს მოთხოვნებისა და რესურსების კითხვარი და ტრენინგ მოდული ძირითადი სტატისტიკური ტექნიკების შესახებ, რომელიც მოიცავს ტრენინგის თეორიულ ჩარჩოსა და დეტალურ პროგრამას. ასევე, მოხდა საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა კვლევითი კომპეტენციების ამაღლება მონაცემთა დამუშავების კუთხით, რათა ბიუროს თანამშრომლებმა ყოველწლიურად, დამოუკიდებლად შეძლონ კვლევის ჩატარება საჯარო სამსახურში სამუშაო კეთილდღეობის ინდექსის პერიოდული გაზომვის მიზნით.



საჯარო დანესებულებების ორგანიზაციული მოწყობა

საჯარო დანესებულებების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის განხორციელების მეთოდოლოგიისა და ორგანიზაციული მოწყობის სახელმძღვანელო პრინციპები აწესებს სტანდარტს, რომლის შესაბამისადაც საჯარო დანესებულებებს შეუძლიათ შექმნან სტრუქტურები და გაანალიზონ თავიანთი ფუნქციები. საჯარო დანესებულების მიერ აღნიშნული სტანდარტის შესრულების მიზნით, ბიურო კოორდინაციას უწევს საჯარო დანესებულებების ფუნქციური ანალიზის პროცესს და უზრუნველყოფს მათ მეთოდურ დახმარებას ორგანიზაციული თვითშეფასების პროცესში. ამისათვის, ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მხარდაჭერით განხორციელდა ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის არსებული მეთოდოლოგიის ანალიზი, საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები საჯარო დანესებულებების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის მეთოდოლოგიის განხლებისათვის.

ასევე, შეიქმნა ორგანიზაციული თვითშეფასების ინსტრუმენტი და მომზადდა შესაბამისი თვითშეფასების კითხვარი საჯარო დანესებულებებისთვის. ინსტრუმენტი ადგენს ძირითად, საბაზისო ინდიკატორებს, რომელსაც საჯარო დანესებულებები უნდა აკმაყოფილებდნენ შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის და დაკისრებული მანდატის ეფექტიანად შესრულებისთვის. ინსტრუმენტის მიზანია ორგანიზაციაში არსებული მდგომარეობის შეფასება დადგენილ ინდიკატორებთან მიმართებით და დისკუსიის ინიცირება გაუმჯობესების სფეროების იდენტიფიცირების შესახებ.

ორგანიზაციული თვითშეფასების პროცესის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით შემუშავდა სასწავლო მოდული, რომლის მიზანია საჯარო მოსამსახურეთა ცნობიერების ამაღლება საჯარო დანესებულებების ფუნქციური და ინსტიტუციური ანალიზის პროცესების შესახებ, ორგანიზაციული თვითშეფასების ძირითად მიმართულებებზე, როლზე და მნიშვნელობაზე, ასევე, ინსტიტუციური თვითანალიზის ინსტრუმენტის გამოყენებასა და შედეგების ინტერპრეტაციაზე.



სივუასიური ანალიზი და საჯარო სამსახურის განვითარების სტრატეგია

საჯარო სამსახურის ბიუროს რეორგანიზაციისა და ფუნქციური გაძლიერების პარალელურად, 2023 წლის განმავლობაში, მიმდინარეობდა მუშაობა საჯარო სამსახურში არსებული სიტუაციის ანალიზისა და მისი შედეგების შესაბამისად, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის მიმართულებით. სიტუაციური ანალიზი მიზნად ისახავდა, შეექმნა კომპლექსური სურათი საქართველოს საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარეობისა და არსებული HR პრაქტიკების შესახებ. კვლევა დაეფუძნა შემდეგ მონაცემებს:

- SIGMA/OECD – მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით ჩატარებულ SIGMA/OECD-ის საჯარო მმართველობის პრინციპებთან სამართლებრივი შესაბამისობის შეფასებას, რომელიც მოიცავს საქართველოს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს და მისი გავრცელების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ანალიზს.
- განხილულ პრაქტიკებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მიმოხილვას.
- საჯარო სამსახურის რეფორმების სხვადასხვა ასპექტების შეფასების მიზნით მომზადებულ კვლევებს, ანგარიშებს, გამოკითხვების შედეგებს, სახელმწიფო აუდიტის ანგარიშებს.
- საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მოწოდებულ რაოდენობრივ მონაცემებს, ე.წ. HR საბაზისო და სპეციალურ ანალიტიკურ მონაცემებს.
- თვისობრივ მონაცემებს: მუნიციპალიტეტების, ცენტრალური ხელისუფლების (სამინისტროების), დამოუკიდებელი სსიპ-ების HR წარმომადგენლების და შუა რგოლის ხელმძღვანელებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების შედეგებს, ასევე ინტერვიუებს მინისტრის მოადგილეებთან.
- საჯარო სამსახურის ბიუროს გუნდთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების მიგნებებს.

დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის საჯარო მმართველობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ტექნიკური დახმარების ჯგუფისა და საჯარო სამსახურის ბიუროს თანამშრომელთა მონაწილეობით. სიტუაციური ანალიზის დოკუმენტის საფუძველზე და გამოკვეთილი გა-



მონვევების საპასუხოდ, საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა სტრატეგიული განვითარების ხედვის დოკუმენტი.

რეფორმის მიმდინარე ეტაპზე, განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები უკავშირდება 3 თემატურ მიმართულებას:

- პროფესიული საჯარო სამსახურის სისტემის განვითარება მდგრადი, ძლიერი და ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობით; საჯარო სამსახურის საკოორდინაციო მექანიზმისა და ანგარიშგების გაძლიერებით; საჯარო სამსახურში ღირებულებებსა და კეთილსინდისიერებაზე ორიენტირებული სისტემების გაძლიერებით; საჯარო სამსახურის ბიუროს გაძლიერებით.
- ადამიანური რესურსების მართვისა და ლიდერობისა სისტემების განვითარება თანამედროვე და სტრატეგიული HR სისტემების დანერგვით; ლიდერობის სისტემის დანერგვით; პროფესიული განვითარების სისტემის გაძლიერებით.
- საჯარო სამსახურის მიმზიდველ დამსაქმებლად ჩამოყალიბება ორგანიზაციაში შემოსვლისა და კარიერული განვითარების სისტემების გაუმჯობესებით; სამოტივაციო პრაქტიკების განვითარებით; მრავალფეროვანი, თანასწორი და ინკლუზიური დასაქმების სისტემის ჩამოყალიბებით.



ადამიანური რესურსების მართვა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებაში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის, საჯარო სამსახურის ბიურო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აგრძელებს მუშაობას საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის მიმართულებით.

მიღება საჯარო სამსახურში*

ვაკანსიების ადმინისტრირება. საერთო ჯამში, ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე – www.hr.gov.ge – გამოცხადდა 6961 ვაკანსია. აქედან 4580 – ღია კონკურსი, 226 – დახურული, 589 – შიდა, 1000 – გამარტივებული, 482 – სტაჟირება და 84 – სხვა ტიპის კონკურსი. საანგარიშო პერიოდში, საჯარო სამსახურის ბიურო ახორციელებდა სახელმწიფო საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) გამოქვეყნებული ვაკანსიების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენას, ორგანიზაციებთან კომუნიკაციას, ვაკანსიების ადმინისტრირებასა და გამოქვეყნებას. აღნიშნული კონკურსების ადმინისტრირების პროცესში, ბიუროს რეკომენდაციები ძირითადად მიმართული იყო ვაკანსიის განაცხადის ტექნიკური და შინაარსობრივი დეტალების დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით. ვაკანსიების ადმინისტრირების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების შედეგად გამოკვეთილი გამონკვევების გათვალისწინებით, შერჩევის პროცესის დახვეწის ხელშეწყობის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურო მუშაობს სარეკომენდაციო დოკუმენტის შემუშავების მიმართულებით.

6961

ვაკანსია

4580

ღია კონკურსი

226

დახურული

589

შიდა

1000

გამარტივებული

482

სტაჟირება

84

სხვა ტიპის
კონკურსი

* ანგარიშში მონაცემები დამუშავებულია 2023 წლის 28 დეკემბრის მდგომარეობით.



ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

კონკურსის მონაწილე კანდიდატის უფლების დაცვისა და კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატის მიერ გაკეთებული განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიმართა 12-მა კანდიდატმა 12 ვაკანტურ პოზიციასთან დაკავშირებით. საკონკურსო პირობებისა და კანდიდატის რეზიუმეში მოცემული ინფორმაციის გადამოწმების საფუძველზე, 5 შემთხვევაში დადგინდა შესაბამისობა, რის გამოც ბიურომ, შესაბამისი კანდიდატების კონკურსის მეორე ეტაპზე დაშვების რეკომენდაციით მიმართა საჯარო დაწესებულებებს.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეთანხმება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოხელის თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობის შინაარსის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებებმა 561-ჯერ მომართეს საჯარო სამსახურის ბიუროს მოხელის ვაკანტური თანამდებობებისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეთანხმების მიზნით. დაწესებულებათა მოთხოვნის საფუძველზე, ბიურომ განიხილა 1870 პოზიციის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კომპეტენციის ფარგლებში, რეკომენდაციის სახით, 157 საჯარო დაწესებულებას გაუზიარა მოსაზრებები, წინადადებები და შენიშვნები. საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეთანხმების პროცესში, ბიუროს რეკომენდაციები გაიცა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესით“ განსაზღვრულ პრინციპებთან შესაბამისობის მიზნით. მოხელის თანამდებობების საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეთანხმების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების საფუძველზე, საჯარო სამსახურის ბიუროს მუშაობას სარეკომენდაციო დოკუმენტის შემუშავების მიმართულებით.

საკონკურსო კომისიის ოქმების ანალიზი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ შეისწავლა საჯარო დაწესებულებებში მოხელეთა შესარჩევი კონკურსების მიმდინარეობის პროცესი. ღია, დახურული და შიდა კონკურსის ფარგლებში, საკონკურსო კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის მიზნით, ბიურომ მიმართა როგორც ცენტრალურ დაწესებულებებს, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სასამართლოებს, ასევე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებს. შერჩევის პროცესის მიმდინარეობის კომპლექსური ანალიზის მიზნით, ოქმები გამოთხოვილ იქნა იმ საჯარო დაწესებულებების შემთხვევაში, რომელშიც მიმდინარე კონკურსის გასაუბრების ეტაპს, მონიტორინგის მიზნით, დაესწრნენ ბიუროს წარმომადგენლები. გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, გაანალიზდა 42 სა-



ჯარო დაწესებულების მიერ გამოგზავნილი საკონკურსო დოკუმენტაცია. მიღებული დოკუმენტაციის განხილვისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საჭიროებს დახვეწას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთგვაროვანი აღსრულების მიზნით.

კომისიის შემადგენლობა. ძირითადად დაცულია კონკურსის წესით განსაზღვრული შემადგენლობა; თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ბუნდოვანია კომისიის დამოუკიდებელი, მონვეული სპეციალისტის ან სხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის ვაკანტური თანამდებობის სპეციფიკასთან შესაბამისობის საკითხი. უმეტესწილად, კომისია შექმნილია მხოლოდ კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით, ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, კომისიები იქმნება კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში არსებულ მოხელის ვაკანტურ თანამდებობებზე პირთა შერჩევის მიზნით. გაანალიზებულ შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში დაცულია კომისიის წევრთა კვოტა (მინიმუმ 3 წევრი), რაც განაპირობებს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას.

კანდიდატის შეფასება. კანდიდატის შეფასებისთვის, ძირითადად განსაზღვრულია მხოლოდ ორი ან სამი ეტაპი. უმეტესწილად კანდიდატები ფასდებიან გასაუბრების გზით და ხშირად ზეპირი დავალების გამოყენებით. ხშირ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არ ფასდება კანდიდატი წერითი ან/და ზეპირი დავალების ეტაპების გამოყენებით.

ზეპირი დავალების ეტაპი ძირითადად მოიცავს კანდიდატის საკონკურსო თემატიკის ცოდნის შეფასებას. ასეთ შემთხვევებში, ხშირად არ ახლავს კონკრეტული შეფასების ფორმა, კრიტერიუმები, მინიმალური და მაქსიმალური ქულები, რაც კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდიდა შეფასების პროცესს და გასაჩივრების შემთხვევაში, მიღებულ შედეგთან დაკავშირებით სრულყოფილ ინფორმაციას მიაწვდიდა კანდიდატს.

გასაუბრების ეტაპის ოქმებში, ხშირად მიუთითებენ ინფორმაციას კანდიდატის უნარ-ჩვევების შეფასებასთან დაკავშირებით, ხოლო კრიტერიუმები ან კომპონენტები უნარ-ჩვევების შეფასებისთვის, ძირითადად არ არის განსაზღვრული. ამასთან, ანალიზის ეტაპზე, გამოიკვეთა, რომ ძირითადად, გასაუბრება ტარდება არასტრუქტურირებულ ფორმატში და კონკრეტული შეკითხვები წინასწარ არ არის განსაზღვრული. განხილული ოქმების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობაში, კანდიდატის მიმართ კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმად განსაზღვრულია კენჭისყრის მეთოდი და ნაკლებად არის გამოყენებული ქულათა სისტემა, რაც კიდევ უფრო ობიექტურს გახდიდა შერჩევის პროცესს.

კანდიდატთან გასაუბრების მონიტორინგი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, ასევე, საჯარო სამსახურში ერთიანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობისა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესების გაუმჯობესებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიურომ განახორციელა საჯარო დაწესებულებებში მიმდინარე კონკურსის გა-



საუბრების ეტაპის მონიტორინგი. მონიტორინგი ხორციელდებოდა როგორც ადგილზე დასწრებით, ისე ელექტრონული რესურსების გამოყენებით. აღსანიშნავია პროგრესი საჯარო დაწესებულებების მიერ დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე გასაუბრების ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარების კუთხით, წინა პერიოდთან შედარებით. თუმცა, ზოგიერთი დაწესებულების შემთხვევაში, კვლავ გამოწვევად რჩება ტექნიკური ასპექტები, რომელიც აფერხებს როგორც თავად გასაუბრების, ისე მონიტორინგის განხორციელების პროცესს (მაგ: ხმის, ვიდეო კამერის, ინტერნეტის, ელექტრო აქსესუარების გამართულობის პრობლემა).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები დააკვირდნენ 30 სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში, მოხელის თითქმის ყველა რანგის თანამდებობაზე გამოცხადებული შიდა, დახურული და ღია კონკურსის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრების პროცესს. გასაუბრების მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას:

- გასაუბრების პროცესს მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში ესწრება დაწესებულების გენდერზე პასუხისმგებელი პირი და პროფესიული კავშირის წარმომადგენელი.
- რამდენიმე შემთხვევაში დარღვეული იყო პროცედურული საკითხები, კანდიდატებისთვის გასაუბრების ჩანერის შესაძლებლობის შეთავაზებასთან და კომისიის შემადგენლობის წარდგენასთან დაკავშირებით.
- იკვეთებოდა ტენდენცია გასაუბრების პროცესის მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ან/და ერთი რომელიმე წევრის ჩართულობით წარმართვის კუთხით და შეიმჩნეოდა კომისიის დანარჩენ წევრთა, მათ შორის, ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლის პასიური ჩართულობა კანდიდატის შეფასების პროცესში.
- კანდიდატთან ინტერვიუ, ძირითადად, მიმდინარეობდა ნახევრადსტრუქტურირებულად ან არასტრუქტურირებულად. უმეტეს შემთხვევაში, წინასწარ არ იყო შემუშავებული სტრუქტურირებული კითხვარი, რაც ამცირებს კანდიდატის შეფასების პროცესში კომისიის წევრთა თანაბარ ჩართულობას, კანდიდატთან გასაუბრების დროის ეფექტიანად და თანაბრად მართვის შესაძლებლობას.
- ზეპირი დავალების ეტაპზე, ძირითადად, გამოყენებული იყო დახურული ტიპის შეკითხვები, რომელიც შეიძლება შედეგიანი იყოს ფაქტობრივი ცოდნის გამოვლენისთვის, თუმცა, მსჯელობის, ანალიზის, არგუმენტაციის კომპონენტის სიმცირის გამო, მხოლოდ დახურული ტიპის შეკითხვების გამოყენება ნაკლებად ეფექტიანს ხდის კანდიდატის შესაბამისი კომპეტენციების შეფასებას.
- რამდენიმე გასაუბრების შემთხვევაში, ნაკლებად იყო გამოყენებული მოტივაციისა და პიროვნული მახასიათებლების შესაფასებელი წინასწარ განსაზღვრული ფორმები. კანდიდატთა შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, ზოგიერთ შემთხვევაში, განერი-



ლია ზოგადად, რაც ზრდის კომისიის წევრთა მხრიდან სუბიექტური ინტერპრეტაციების რისკებს.

- გადანყვეტილებები კანდიდატთან დაკავშირებით, ძირითადად მიიღება ხმათა უმრავლესობით და კენჭისყრით, ქულათა სისტემა მხოლოდ იშვიათ შემთხვევებშია გათვალისწინებული, რაც ზრდის სუბიექტური შეფასებების რისკს.
- გამოიკვეთა გამოწვევები კანდიდატთან კომუნიკაციის დეტალებთან დაკავშირებით. კერძოდ, დაწესებულებების მცირე ნაწილში განახორციელეს კანდიდატის ინფორმირება გასაუბრების შედეგის შეტყობინების ვადებთან დაკავშირებით და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში მისცეს კანდიდატს კომისიისთვის სასურველი შეკითხვის დასმის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკურსის პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობისთვის.

გამარტივებული კონკურსის გარეშე გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გადამოწმდა სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში გამარტივებული საჯარო კონკურსის გარეშე გაფორმებული 1076 შრომითი ხელშეკრულება. ბიუროსთან კონსულტაციების გავლისა და გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, აღსანიშნავია, რომ საბოლოო მონაცემი, ფორმალური შესაბამისობის ნაწილში, მკვეთრად არის გაუმჯობესებული. რაც შეეხება პრაქტიკულ რისკებსა და გამოწვევებს, საკითხი კვლავ აქტუალურად რჩება. შრომითი ხელშეკრულებების დამუშავებისას გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის ხარვეზი, პროცენტულად მცირე რაოდენობაში (6.7%), რომლებიც ძირითადად ეხებოდა შემდეგ ასპექტებს:

- ხელშეკრულებების ნაწილში (1%), შესასრულებელი ფუნქციები არის ზოგადი ხასიათის, რის გამოც რთულდება დადგინდეს მათი დამხმარე ან არამუდმივი ხასიათი;
- ზოგიერთ ხელშეკრულებაში (4.73%) ასახული ფუნქციები შეესაბამება პროფესიული საჯარო მოხელის მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს და არ ატარებს დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შინაარსს;
- ნაწილი ხელშეკრულებით (1%) საერთოდ არ არის გათვალისწინებული შესასრულებელი ფუნქციები.

საანგარიშო პერიოდში გადამოწმებული შრომითი ხელშეკრულებებიდან ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გაფორმებულია 495 ხელშეკრულება, რეგიონულ დონეზე – 349, სასამართლო სისტემაში – 52, პარლამენტის აპარატში – 79, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში – 83, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში – 18 შრომითი ხელშეკრულება.

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა. 2022 წლის 8 სექტემბერს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების საფუძველზე, საკანონმდებლო დონეზე ახალი პრინციპებით მოწესრიგდა საჯარო სამსახურში სტაჟირების გავლის წესი



და პირობები. სტაჟიორთა შერჩევა გახდა კონკურენტული, ნაცვლად დასწრების პრინციპისა. სტაჟირების პერიოდის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 12 თვე, ხოლო 2022 წლის 1 ნოემბრიდან დაწყებული სტაჟირება ჩაითვლება სამსახურის საერთო სტაჟში. აღნიშნული ხელს შეუწყობს ახალი უნარებისა და კომპეტენციების შემოღინებას საჯარო სამსახურის სისტემაში.

2024 წლის 1 იანვრიდან სტაჟირება გახდება ანაზღაურებადი და შრომის ანაზღაურების ზღვრული ოდენობები განისაზღვრება და მოწესრიგდება „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით. 2023 წლის 15 მაისიდან ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე – HR.gov.ge გამოქვეყნდა 229 სტაჟირების ვაკანსია.

ამ მხრივ, საჯარო სამსახურის ბიუროს მერ მომზადდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო 2023 წლის 15 მაისს. ასევე, 2023 წლის 1 ნოემბერს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონსა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მომზადდა და საქართველოს მთავრობას წარედგინა ხსენებული დადგენილების ცვლილების პროექტი.

პროფესიული საჯარო მოხელის მობილობა და რეზერვი

ბიურო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ჩართული იყო საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას მოხელის მობილობის პროცესში. საანგარიშო პერიოდში 96 საჯარო დაწესებულებაში განხორციელდა რეორგანიზაცია. სხვა საჯარო დაწესებულებაში მობილობის პროცედურის განხორციელების მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროში შემოსულია 44 განცხადება. რეორგანიზაციის ფარგლებში მობილობას დაექვემდებარა 308 მოხელე. საჯარო დაწესებულებების მიერ მონოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რეორგანიზაციის შედეგად, სხვა საჯარო დაწესებულებაში არც ერთი მოხელე არ დასაქმებულა. ამჟამად, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხულია 91 მოხელე.

სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენა

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ მოხელის თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნით, საჯარო სამსახურის სისტემაში ტოლფასი თანამდებობების მოძიების მიზნით, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროში შემოსულია 2 მოთხოვნა, 2 საჯარო დაწესებულების სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული 2 მოხელის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე. საჯარო სამსახურის სისტემაში



მოძიებულ ტოლფას ვაკანტურ თანამდებობაზე აღდგენას დაქვემდებარებული მოხელეების დასაქმების პროცესის შედეგების შესახებ ბიუროსთვის ინფორმაცია არ არის მონოდებული.

სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვა

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით, შემუშავდა სამუშაო ძალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. აღნიშნული მეთოდოლოგიის ადაპტაციის მიზნით, პირველ ეტაპზე, განხორციელდა სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესის პილოტირება. პილოტირების პროცესის დასრულებისთანავე, შემუშავდა სამუშაო ძალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის საბოლოო დოკუმენტი. სამუშაო ძალის დაგეგმვის პროცესი ერთ-ერთი ფუნდამენტური რგოლია ადამიანური რესურსების მართვის ციკლში და ამდენად, ამ მიმართულებით შემუშავებული სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად დაეხმარება ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს ადამიანური რესურსების პროცესების სტრატეგიულად დაგეგმვასა და მომავლის საჭიროებების პროგნოზირებაში.

ამავე პროექტის ფარგლებში ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის სახელმძღვანელო დოკუმენტზე დაყრდნობით, შეიქმნა ტრენინგ მოდული HR პროფესიონალებისათვის. ტრენინგ მოდულზე მუშაობდნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტები და სასწავლო პროგრამა გამდიდრდა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი, პრაქტიკული გამოცდილებით. დაიგეგმა ტრენინგი სამუშაო ძალის სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ. ტრენინგის მიზნებად განისაზღვრა, მონაწილეებისათვის სამუშაო ძალის სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი კონცეფციებისა და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ამასთანავე, პრაქტიკული კომპეტენციების გაზრდა SWFP დაგეგმვისა და წარმართვისთვის. ტრენინგი მონაწილეთა მაღალი ჩართულობით, წარმატებით განხორციელდა. მასში მონაწილეობა მიიღეს საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირებმა.

რეკრუტირებისა და შერჩევის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირის ტექნიკური მხარდაჭერის პროექტის მხარდაჭერით, კომპეტენციებზე დაფუძნებული შერჩევის ნახალისებისათვის, შემუშავებული საბაზისო კომპეტენციების შეფასების, ინტერვიუს დაგეგმვისა და მართვის სახელმძღვანელოს (სახელმძღვანელოში მოცემულია სამუშაო ფორმები, ჩეკ-ლისტები და გამზადებული კითხვების ბანკი ინტერვიუს პროცესში საჯარო სამსახურის 4 ძირითადი კომპეტენციის, კეთილსინდისიერების, კომუნიკაციის, მიზანზე ორიენტირებულობისა და ანალიტიკური აზროვნების შესაფასებლად) საფუძველზე ჩატარდა ტრენინგი ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი 30-მდე პირისთვის. ტრენინგის ფარგლებში დამსწრე პირებმა გაიღრმავეს ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორცაა კანდიდატის შეფასების სტანდარტები, კომპეტენციები და კომპეტენციების პრო-



ფილების შემუშავება, ინტერვიუს სრული ციკლის მართვა, კითხვების ფორმულირება, შეფასების ინდიკატორები და კანდიდატის შეფასება, ემოციების როლი ინტერვიუს პროცესში და მათი მართვა, თავდაცვის მექანიზმები და მათი როლი სუბიექტურ შეფასებებში.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მუშავდება HR სტრატეგიის წესი. მოცემული წესის შემუშავების მიზანია, ნათელი წარმოდგენა შეუქმნას საჯარო დაწესებულებაში მომუშავე ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებს HR სტრატეგიის ორგანიზაციული როლის შესახებ.

HR სტრატეგიის წესი ეხება საჯარო დაწესებულებების მიერ სტრატეგიული ადამიანური რესურსების მართვის, როგორც ადამიანური რესურსების პრაქტიკების სისტემის იმპლემენტაციას/განვითარებას კონკრეტული ფუნქციისთვის ან ფუნქციების ნაკრებისთვის, რაც მიზნად ისახავს თანამშრომლების მიერ სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებას, ორგანიზაციის საბოლოო მიზნების მისაღწევად. იგი განკუთვნილია საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ ნებისმიერი პირისთვის.

პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების სისტემა

საანგარიშო პერიოდში საჯარო სამსახურის ბიურო აქტიურად თანამშრომლობდა საჯარო დაწესებულებებთან და კონსულტაციას უწევდა მათ შეფასების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი მონაცემების შესაბამისად, საჯარო მოხელეთა 2023 წლის შედეგები ნაწილდება შემდეგნაირად: საუკეთესო 84,16%, კარგი 15,84%, დამაკმაყოფილებელი 0%, არადაკმაყოფილებელი 0%. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციების უმეტეს ნაწილში მიმდინარეობს საბოლოო შეფასების პროცესი. ამდენად, ადამიანური რესურსების მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სტატისტიკური ინფორმაცია არ არის შევსებული. ზემოთ მოცემული მონაცემები დათვლილია, იმ მცირე რაოდენობის (15) ორგანიზაციების მაგალითზე, რომელთაც უკვე დაასრულეს წლიური, საბოლოო შეფასების პერიოდი.

Hr.gov.ge-ის განვითარება

საჯარო სამსახურის რეფორმის წარმატებით განხორციელების ფარგლებში, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო განაგრძობს ადამიანური რესურსების ელექტრონული მმართველობის პროცესის განვითარებას საჯარო სექტორში.

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის UK aid-ის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული პლატფორმის www.hr.gov.ge-ის



შესახებ და შეიქმნა სისტემის განვითარების ხედვის დოკუმენტი. აღნიშნულის ფარგლებში იქმნება ტექნიკური დავალების დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც, პროექტის შემდგომ ეტაპზე განხორციელდება hr.gov.ge-ის გადანერა ახალ ტექნოლოგიაზე დოკუმენტში არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. მიმდინარე პროექტის დროს შემუშავებული ტექნიკური დავალების საფუძველზე განხორციელდება სისტემაში არსებული ცალკეული ფუნქციონალების ლოგიკის ცვლილება/განვითარება, ახალი ფუნქციონალების შემუშავება და ახალი მოდულების იმპლემენტაცია. ასევე, სისტემის განახლებულ ვერსიაში იგეგმება შშმ პირთა ხელმისაწვდომობა და სხვადასხვა ტიპის HR სისტემებთან ინტეგრაციის შესაძლებლობა, ინტეგრაციისთვის შეთანხმებული წერტილების გათვალისწინებით.

ადამიანური რესურსების მართვის მონაცემთა ბაზების განვითარება

იმის გათვალისწინებით, რომ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადანყვეტილების მიღების პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის სრულყოფილი და სანდო მონაცემების წარმოება აუცილებელია, საჯარო სამსახურის ბიურო მუშაობს მონაცემების ცოცხალ რეჟიმში დამუშავების სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით.

ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, განახორციელა საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის (eHRMS), საჯარო დაწესებულებებიდან გამოკითხვის საფუძველზე მიღებული მონაცემებისა და საჯარო სამსახურში პერსონალის შერჩევის ერთიანი პლატფორმის (HR.GOV.GE) მეშვეობით უწყებებში შერჩევის პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციისა და შესაბამისი ბაზების სისტემატიზაცია-განვითარება, რაც მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- შემუშავდა ადამიანური რესურსების ინდიკატორების კატალოგი (563 ინდიკატორი და მისი აღწერა);
- შეიქმნა ცვლადების კატალოგი ყველა ბაზისთვის (210 ცვლადი);
- განხორციელდა ცვლადების კოდირება ყველა ბაზაში;
- შემუშავდა კოდირების კატალოგი;
- გადაჯგუფდა, გაიფილტრა, გასწორდა მონაცემები (მაგ. ორგანიზაციის ჩამონათვალი და დასახელებები, გათავისუფლების საფუძველები);
- სამუშაოები მიმდინარეობდა 7 სხვადასხვა მიმართულების ბაზაში (1. ehrms –დასაქმების ყველა ტიპი; 2. ელ-კითხვარები; 3. ვაკანსიები; 4. გათავისუფლება/რეზერვი; 5. შეფასება; 6. პროფესიული განვითარება; 7. მობილობა.);
- ბაზებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე SPSS-ში შეიქმნა სინტაქსები მონაცემების საბოლოო სახით დამუშავების პროცესის სისტემატიზაციისა და გამარტივებისთვის.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სამუშაოების შედეგად მონაცემთა სისტემებთან დაკავშირებით გაძლიერდა სამი ძირითადი მიმართულება. კერძოდ, შემუშავდა ადამიანური რესურსების მართვის მონაცემთა 600-მდე ინდიკატორი (1). საჯარო სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის ერთეულის ხელთ არსებული HR მონაცემების შესაბამისად განისაზღვრა ცვლადთა სისტემა და მონაცემთა შესაძლო კომბინაციები, რაც შესაძლებლობას იძლევა მონაცემები დამუშავდეს სხვადასხვა ტრილში ორგანიზაციული განვითარების მიზნით შესაბამისი ანალიზის განსახორციელებლად. რამდენიმე მაგალითი: შერჩევის წარმატების მაჩვენებლის გამოთვლის შესაძლებლობა – ვაკანსიებზე შერჩეული კანდიდატების რაოდენობა ორგანიზაციის ჯგუფისა და კონკურსის ტიპის მიხედვით; მოზიდვის წარმატების მაჩვენებლის გამოთვლის შესაძლებლობა – ვაკანსიის მოთხოვნებთან შესაბამისი განცხადებების რაოდენობა რეგიონის, ვაკანსიის კატეგორიისა და კონკურსის ტიპის მიხედვით; შენარჩუნების მაჩვენებელი – დანიშნიდან ერთი წლის განმავლობაში სამსახურიდან საკუთარი თუ ორგანიზაციის ინიციატივით გათავისუფლებულ მოხელეთა რაოდენობა.

ასევე, განახლებულია მონაცემთა ბაზები და შექმნილი კოდირების სისტემა (2). საჯარო სამსახურში დასაქმებულთა და ადამიანური რესურსების მართვის პროცესებთან დაკავშირებით არსებული მონაცემების საფუძველზე, შეიქმნა გაერთიანებული სისტემა საერთო სტრუქტურით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მონაცემები დამუშავდეს ერთ სივრცეში წინასწარ დამუშავებული ცხრილების საშუალებით. ამასთან დაკავშირებით, შეიქმნა მონაცემთა ტრანსფორმაციის, აგრეგაციისა და Output-ების გენერაციის სინთაქსები, რაც გულისხმობს წინასწარ გამზადებულ სტანდარტიზებულ სისტემას მონაცემთა დამუშავებისათვის. გაანალიზდა ბიუროს ხელთ არსებული მონაცემები, ბაზები და შემუშავდა ცვლადთა ერთიანი სისტემა. თითოეული ცვლადი ჩაიშალა კლასიფიკატორებად და გაიწერა კოდირების სისტემა. აღნიშნული ხელს შეუწყობს, მონაცემთა მოძიებისა და დამუშავებისათვის საჭირო დროითი დანახარჯის შემცირებას, როგორც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, ასევე ბიუროს მანდატის ფარგლებში ანალიტიკური მიზნებისათვის.

2023 წლის განმავლობაში შეიქმნა ანალიტიკური დოკუმენტი და არსებული ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარების ხედვა (3). შეფასდა მონაცემთა არსებული სისტემა, განისაზღვრა განვითარებისათვის განსახორციელებელი საჭირო ცვლილებები და ტექნიკური რეკომენდაციები. რაც გააადვილებს, საბოლოო ჯამში, ელექტრონული სისტემებიდან მიღებული მონაცემების მორგებას არსებულ ანალიტიკურ ინდიკატორებთან. გამოიკვეთა არსებულ სისტემაში მონაცემთა კოდირების საჭიროება, მონაცემთა შეყვანის დროს გარკვეული ლოგიკების განსაზღვრა მონაცემთა ბაზებში ცდომილების პრევენციისთვის და სერვისების ავტომატიზაციისათვის მომზადდა საფუძველი.

ასევე, მონაცემთა დამუშავების პროცესში გამოყენებული პროგრამების ცოდნის ამაღლების მიზნით გადამზადდნენ ბიუროს თანამშრომლები (ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბიუროს თანამშრომლების გადამზადება SPSS-ში და იგეგმება Power BI-ის შესწავლა).



მიზიდველი და მრავალფეროვანი საჯარო სამსახურის განვითარების ხელშეწყობა

საჯარო სამსახურის სისტემის გაუმჯობესება საჭიროებს საზოგადოების ნდობის მაღალ მაჩვენებელს. ამ მიზნის მისაღწევად, საჯარო სამსახური უნდა გახდეს მიზიდველი დამსაქმებელი, რომელიც ბრუნავს დასაქმებულთა კეთილდღეობაზე და უზრუნველყოფს განვითარების სისტემურ შესაძლებლობებს. ორგანიზაციაში მრავალფეროვანი სამუშაო ძალის არსებობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საჯარო სამსახურის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, ასევე, მოქალაქეთა ნდობისა და ორგანიზაციის რეპუტაციის ამაღლებას საჯარო სამსახურის მიმართ. ამ მიზნის მისაღწევად, გაიმართა ფოკუსირებული შეხვედრები საჯარო დაწესებულებების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების ჩართულობით, გაანალიზდა თანამედროვე ადამიანური რესურსების საკითხების მართვის ტენდენციები და საკომუნიკაციო ინსტრუმენტები. შედეგად, შემუშავდა საჯარო სამსახურში თანამშრომელთა მოზიდვის გზამკვლევი, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამსახურში თანამშრომელთა მოზიდვის სახელმძღვანელო დოკუმენტს მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის კომპონენტების გათვალისწინებით. მისი მიზანია საჯარო უწყებების ადამიანური კაპიტალის საკითხების მართვის (HR/HC/P&C) სპეციალისტებისთვის თანამშრომელთა მოზიდვის პრაქტიკული ინსტრუმენტების გაცნობა, რაც ხელს შეუწყობს მომავალში მათ ეფექტიან საქმიანობას.



პროფესიული განვითარების სისტემა საჯარო სამსახურში

საჯარო სამსახურის ბიუროსთვის წარდგენილი მონაცემების შესაბამისად, მოხელის პროფესიული განვითარების გეგმის მიხედვით, 2023 წლისათვის 14 418 შემთხვევაში განისაზღვრა 251 დასახელების პროფესიული განვითარების როგორც საბაზისო, ასევე დამატებითი პროგრამა. მათგან, პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა დაიგეგმა 85 საჯარო დაწესებულების მოხელეებისთვის. განსაზღვრული კურსების/შემთხვევების რაოდენობის 19,7% საბაზისო პროგრამებია (ამათგან პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი განესაზღვრა 15,58% და მოხელის მენეჯერული უნარების პროგრამა 4,12%), ხოლო 80,3% დამატებითი პროგრამებია. ასევე, აღსანიშნავია, რომ განსაზღვრული საბაზისო პროგრამების მხოლოდ 5,6% განხორციელდა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე.

დამატებითი პროგრამების სტატისტიკური ანალიზისას იკვეთება 20 ყველაზე მეტად მოთხოვნილი სასწავლო თემატიკა: რისკის განსაზღვრა და შეფასება სტრატეგიული მართვა-დაგეგმვა (სტრატეგიული მენეჯმენტი, გრძელვადიანი და საშუალოვადიანი მიზნებისა და ამოცანების დაგეგმვა, სამოქმედო გეგმების შემუშავება), მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები და საშუალებები, ეფექტური კომუნიკაცია, მუნიციპალური ქონების ფორმირება და განკარგვა, ცოდნის მართვა (knowledge management), პროფესიული კომუნიკაცია, Microsoft Excel, დროის მართვა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, პრეზენტაციის მომზადება და ჩატარება, სტრესის მართვა, ეფექტური მოლაპარაკებები, საჯარო ინფორმაცია და პერსონალურ მონაცემთა დაცვა, ეთიკა და ქცევის ზოგადი წესები საჯარო სამსახურში, აკადემიური წერა, გენდერული თანასწორობა და სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე, პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა, პროექტების მართვა, შესყიდვები. აღნიშნული თემატიკის სასწავლო კურსებზე განაწილებულია საერთო ჯამში პროფესიული განვითარების 2023 წლის დამატებით პროგრამებში ჩართულ მოხელეთა 42%.

პროგრამები ხორციელდება როგორც პირისპირ, ასევე დისტანციური ფორმატით. ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდებია: ტრენინგი, ელექტრონული კურსი/დისტანციური



სწავლება, ვორქშოფი, მასტერკლასი, სასწავლო კურსი, სასერტიფიკატო კურსი, სწავლა კეთებით, ფორუმი და შიდა ტრენინგი.

პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ მომზადდა „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებაში ცვლილების პროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად. ცვლილების მიზანია, საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამების ჩამონათვალის გაფართოება, რომელიც ხელს შეუწყობს და გააუმჯობესებს საჯარო დაწესებულების ფუნქციონირებას და განკუთვნილი იქნება თითოეული რანგის მოხელისთვის.

მოხელეთა გაძლიერება მენტორინგის მეთოდის გამოყენებით ცენტრალურ და მუნიციპალურ ორგანოებში

საანგარიშო წლის თებერვლიდან ნოემბრის ბოლომდე, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურომ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის – „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ მხარდაჭერით – განახორციელა პროექტი, რომლის მიზანაც იყო ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება ადგილობრივ დონეზე. ასევე, მოხელის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემის გაუმჯობესება კახეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტსა და რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის 2 მუნიციპალიტეტში.

პროექტი განხორციელდა ზემოაღნიშნული რეგიონების 20 მუნიციპალიტეტში. პროექტის მიზანი იყო ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტების ცნობიერების ამაღლება შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული თანამედროვე პროფესიული განვითარების მიდგომებთან დაკავშირებით, ცენტრალური საჯარო უწყებების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გამოცდილების გაზიარება „სწავლა კეთებით“ პრინციპზე და მენტორინგის მეთოდზე დაყრდნობით. პროექტის ფარგლებში მენტორებმა შეიმუშავეს პროფესიული განვითარების გეგმის ნიმუშები და მენტორულ სესიებზე შეგირდებს გაუზიარეს რეკომენდაციები შეფასების სისტემის დახვეწისა და პროფესიულ განვითარების ციკლის ეტაპებთან დაკავშირებით. ამასთან, ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის ჩაატარეს ტრენინგები პროფესიული განვითარების საკითხებზე, რათა უკეთესად იყოს აღქმული შეფასებისა და პროფესიული განვითარების პროცესებში ხელმძღვანელთა მონაწილეობის მნიშვნელობა და როლი. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში გადაამზადდა I და II რანგის 300-მდე მოხელე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტების ორგანოების ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისთვის ჩატარდა ტრენინგი პროფე-



სიული განვითარების საჭიროებების კვლევის საკითხებზე და შემუშავდა კონცეფცია, რომელიც გულისხმობს პროფესიული განვითარების საჭიროებების კვლევას, იდენტიფიცირებას და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით პროფესიული განვითარების პროგრამების დაგეგმვას. აღნიშნული პროცესი საპილოტე რეჟიმში მიმდინარეობდა, გაიმართა სამუშაო შეხვედრების სერია. პროცესში ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 25-მდე წარმომადგენელი. თითოეული წარმომადგენელი პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევის განახლებულ მეთოდოლოგიას და შესაბამის ინსტრუმენტებს იყენებდა საპილოტე ეტაპის ფარგლებში, რომლის დროსაც შეფასდა შემუშავებული მეთოდოლოგიის პრაქტიკულობა. ამასთანავე, ორგანიზაციებმა გამოიყენეს ელექტრონული პლატფორმები ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის ადაპტაციის ეტაპზე. საპილოტე პროცედურების დასრულების შემდეგ, კონცეფცია შეჯერდა და სამომავლოდ იგეგმება სხვა მუნიციპალიტეტებისთვის გაზიარება.

საპილოტე პროექტის ფარგლებში მომზადდა ანგარიში არსებული ვითარების შესახებ, პროფესიული განვითარების მეთოდების გამრავალფეროვნების და მათი ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. ასევე, შემუშავდა პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის ინსტრუქცია და მოხელეების პროფესიული განვითარების სისტემის დახვეწის, განვითარების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებისა და პროფესიული განვითარების პროგრამების გავლენის შეფასების შესახებ შემუშავდა მეთოდოლოგიური დოკუმენტი. ბიურო აგრძელებს კონცეფციის შესაბამისად პროფესიული განვითარების ციკლის სხვა ეტაპებზე მსგავს ფორმატში მუშაობას.

საჯარო სამსახურის ბიურომ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე“ მხარდაჭერით, მიმდინარე წლის მაისი-აგვისტოს პერიოდში, დაგეგმა და განახორციელა სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო რწმუნებულების, მათი მოადგილეებისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირველადი და მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირებისთვის. შეხვედრებს უძღვებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი გუნდთან ერთად და მისი მთავარი მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება შემდეგ საკითხებზე: ადგილობრივ დონეზე ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები, ლიდერული და მენეჯერული უნარები, შესრულებასა და შედეგზე ორიენტაციისა და ახალი კომპეტენციების/უნარების განვითარების შესაძლებლობები და ღირებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება საჯარო სამსახურის რეფორმის კონტექსტში.

გემოაღნიშნულ პირებთან შეხვედრისათვის განსახილველად წინასწარ მომზადდა სპეციალური საკითხები, გაიმართა დისკუსია და წარმართული დისკუსიების შედეგად გამოიკვე-



თა საჭიროებები საჯარო სამსახურის მიმზიდველობის გაზრდის, საჯარო დაწესებულებებში მიმდინარე შიდა პროცესების დახვეწა/გაუმჯობესების, ორგანიზაციული გაძლიერებისა და მენეჯერული და ლიდერული უნარების გაძლიერების მიმართულებებით.

სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, კვლავ აგრძელებს მუნიციპალიტეტებში ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას.

საჯარო სამსახურში მენტორინგის პროგრამა უკვე რამდენიმე წარმატებული ეტაპისაგან შედგება. საჯარო უწყებებში მენტორინგი ხორციელდება ისეთ თემატურ საკითხებზე, როგორებიცაა მენეჯერის როლი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებაში, დელეგირება, შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტი, ცვლილებების მენეჯმენტი.

მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და რეგიონული საჭიროებების საპასუხოდ, მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში შეიქმნა თემატური მენტორობის სასწავლო პროგრამა, რომელიც ადგილობრივ დონეზე პროფესიული კომპეტენციებისა და ინსტიტუციურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს. თემატური მენტორინგის საშუალებით შესაძლებელია საჯარო სამსახურის სისტემაში მნიშვნელოვანი ცოდნის გაზიარება და თანამშრომლობითი პლატფორმის შექმნა. ამ ეტაპისთვის, უკვე შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის, ეთიკისა და მენეჯმენტის მიმართულებით თემატური მენტორინგი. მიმდინარე პროექტის ფარგლებში კი კვლევის საფუძველზე გამოვლინდა მუნიციპალიტეტებისთვის ორი ყველაზე მეტად სასურველი სფერო – სამართლისა და საქმისწარმოების მიმართულებით, რომლის შესაბამისადაც ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან, წინასწარ შემუშავებულ კრიტერიუმებსა და შერჩევის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით შერჩეულ იქნა 10 პირი, რომლებმაც გაიარეს მენტორობის ტრენინგი, მიიღეს საჭირო ცოდნა, გამოიმუშავეს მენტორისთვის აუცილებელი უნარები და მოემზადნენ სამომავლოდ თემატური მენტორინგის სესიებისთვის. ზემოაღნიშნული აქტივობის შედეგად შემუშავდა პროფესიული/პროფილური/თემატური სწავლების მეთოდოლოგია, ტრენინგ მოდული და თემატური მენტორინგის სახელმძღვანელო, რომელიც ხელს შეუწყობს საჯარო სამსახურში პროფესიულ/თემატურ მენტორობის პროგრამას.

მენტორინგის მექანიზმი ასევე იწერება აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში. თავდაპირველად, მენტორინგის პროგრამის გაცნობის მიზნით, ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სამინისტროების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლების ჩართულობით, განისაზღვრა აპლიკაციების მიღების ფორმატი და ვადები. შევსებული აპლიკაციების გადარჩევის საფუძველზე აღნიშნული უწყებებიდან შეირჩნენ შეგირდები, რომლებსაც ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მენტორობას უწევნ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით შერჩეული, გამოცდილი მენტორები. მენტორებმა წარმოადგინეს ყოველთვიური ანგარიშები მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.



ეთიკისა და კეთილსინდისიერების მხარდაჭერა საჯარო სამსახურში

საჯარო სამსახურის ბიურო ახორციელებს კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამას, რომელიც უკვე წარმატებით გაიარა სამინისტროებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 250-ზე მეტმა წარმომადგენელმა. კეთილსინდისიერების ამაღლების პროგრამის მომდევნო ეტაპი კეთილსინდისიერების საკითხებზე მომუშავე საჯარო მოხელეების მონაწილეობით ხორციელდება, რომლებიც კონკურსის შედეგად, შევსებული აპლიკაციების გადარჩევის საფუძველზე შეირჩნენ და მასში ცენტრალური საჯარო დაწესებულებებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 24 წარმომადგენელი მონაწილეობს. შეხვედრების ციკლი 11 თემატურ შეხვედრას ითვალისწინებს საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების საკითხებზე.

პროგრამის მონაწილეებს საშუალება აქვთ მიიღონ პრაქტიკული რჩევები და გამოცდილება ეთიკური დილემების მოგვარების შესახებ და ხელი შეუწყონ ეთიკური გარემოს გაუმჯობესებას საჯარო სამსახურში. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 9 ონლაინ შეხვედრა, რომელთაც პროგრამის ფარგლებში გადამზადებული კეთილსინდისიერების ექსპერტები უძღვებოდნენ.

საჯარო სამსახურში ეთიკისა და კეთილსინდისიერების ერთიანი სტანდარტის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და ეთიკის კოდექსის აღსრულების პრაქტიკის ანალიზის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ბიურომ შეაფასოს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების განხორციელება საჯარო დაწესებულებებში. შეფასება დაეხმარება ბიუროს გამოავლინოს ინტერესთა კონფლიქტთან და კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები საჯარო სამსახურში, რის საფუძველზეც შემუშავდება აუცილებელი რეკომენდაციები მომავალი ინტერვენციებისთვის.

ამ მიზნით, გაანალიზდა არაეთიკური ქცევის პრევენციისა და რეაგირების პრაქტიკა და ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც მოიცავდა მიზნობრივ ინტერვიუებს სხვადასხვა საჯარო უწყების ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებთან და ეთიკის ექსპერტებთან/მენტორებთან. ასევე, განხორციელდა საქართველოს საჯარო სამსახურში არსებული პრაქტიკის ანალიზი, რომელიც შეეხებოდა ანტიკორუფციულ ჩარჩოს, ეთიკის რეგულირების ჩარჩოს, ეთიკის სწავლების არსებულ პრაქტიკასა და აღსრულების არსებულ მექანიზმებს.



დისტანციური და ონლაინ სწავლების სისტემის გაუმჯობესება

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით, დისტანციურ რეჟიმში მუშაობისა და პანდემიის შეზღუდვების გამო პროფესიული განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და პროცესების გაციფრების 21-ე საუკუნის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, შემუშავდა მოხელეთა სწავლების ერთიანი ელექტრონული პლატფორმა (elearning@csb.gov.ge).

